

# კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №23 2018 წლის 18 მაისი

ქ. კასპი

„კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 დეკემბრის №45 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 8 დეკემბრის №45 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 15/12/2017; 190020020.35.149.016346) დამტკიცებული დანართი №1, შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლეონიძე

დანართი №1

## კასპის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	2016 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13483,2	11313.0	3214.2	8098.8	12860,1	4123,9	8736.2
გადასახადები	3787,4	3917.5	0.0	3917.5	3500,0	0.0	3500,0
გრანტები	8343,4	6021.8	3214.2	2807.6	7844,9	4123,9	3721,0
სხვა შემოსავლები	1282,5	1373.7	0.0	1373.7	1515.2	0.0	1515.2
ხარჯები	7386,9	7492.3	184.2	7308.1	7750,9	16,4	7734.5
შრომის ანაზღაურება	1601,9	1377.7	0.0	1377.7	1386,0	0.0	1386,0
საქონელი და მომსახურება	1612,1	1795.0	29.5	1765.5	1131.7	0.0	1131.7



პროცენტი	2,7	240.9	0.0	240.9	122,4	0.0	122,4
სუბსიდიები	3484,4	3318.0	0.0	3318.0	4545.5	0.0	4545.5
გრანტები	12,0	12.0	0.0	12,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	546,7	488.0	16,4	471.6	474,2	16,4	457.8
სხვა ხარჯები	127,0	260.7	0.0	260.7	91.1	0.0	91.1
საოპერაციო სალდო	6096,3	3820,7	3030,0	790,7	5109.2	4107.5	1001.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6254,1	5773.7	3711.6	2062.1	5396.8	4452.1	944.7
ზრდა	6324,0	5838.9	3711.6	2127.3	5496.8	4452.1	1044.7
კლება	69,9	65.2	0.0	65.2	100,0	0.0	100,0
მთლიანი სალდო	157,8	2091.5	920,5	1171.0	287,6	344,6	57,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	159,3	400.0	344.6	55.4	400,0	344,6	55,4
ზრდა	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	159,3	400.0	344.6	55.4	400,0	344,4	55,4
ვალუტა და დეპოზიტები	2514,0	400.0	344.6	55.4	400,0	344,0	55,4
ვალდებულებების ცვლილება	-1,5	-123.0	-7.8	-115.2	-112,4	0.0	-112,4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1.5	123.0	7.8	115.2	112,4	0.0	112,4
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	1.5	123.0	7.8	115.2	112,4	0.0	112,4
ბალანსი					0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	13483,2	11378.2	3214.2	8164.0	12960,1	4123,9	8836.2
შემოსავლები	13413,3	11313.0	3214.2	8098.8	12860,1	4123,9	8736.2
არაფინანსური აქტივების კლება	69,9	65.2		65.2	100,0	0,0	100,0
ფინანსური აქტივების კლება	159,3	400.0	344.6	55.4	400,0	344,6	55,4
გადასახდელები	13724,8	13454.2	3903,5	9550.7	13360,1	4468,5	8891.6
ხარჯები	7386,9	7492.3	184.1	7308.2	7750,9	16,4	7734.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	6324,1	5838.9	3711.6	2127.3	5496.8	4452.1	1044.7
ვალდებულებების კლება	1,5	123.0	7.8	115.2	112,4	0,0	112,4
ნაშთის ცვლილება	2514,0	400.0	344.6	55.4	400,0	344,6	55,4

მუხლი 3. კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 12860,1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	2016 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13413,3	11313,0	3214,2	8098,8	12860,1	4123,9	8736.2
გადასახადები	3787,4	3917,5	0.0	3917,5	3500,0	0.0	3500,0
გრანტები	8343,4	6021,8	3214,2	2807,6	7844,9	4123,9	3721,0
სხვა შემოსავლები	1282,5	1373,7	0.0	1373,7	1515.2	0.0	1515.2

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის გადასახადები 3500.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	2016 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3787,4	3917,5	0.0	3917,5	3500,0	0.0	3500,0



საშემოსავლო გადასახადი	1211,0	1310,1		1310,1	1000,0		1000,0
ქონების გადასახადი	2576,4	2607,4	0,0	2607,4	2500,0	0,0	2500,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1697,2	1796,0		1796,0	1655,0		1655,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		3,4		3,4			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	21,8	33,1	0,0	33,1	25,0	0,0	25,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0	4,6		4,6	5,0		5,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	21,8	28,5		28,5	20,0		20,0
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	0,0	0,0			0,0		0,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	349,0	280,7	0,0	280,7	310,0	0,0	310,0
ფიზიკური პირებიდან	267,0	227,4	0,0	227,4	250,0	0,0	250,0
იურიდიული პირებიდან	82,0	53,3		53,3	60,0		60,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	508,4	494,2	0,0	492,2	510,0	0,0	510,0
ფიზიკური პირებიდან	21,5	23,1		23,1	80,0		80,0
იურიდიული პირებიდან	486,9	471,1		471,1	430,0		430,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0,0			0,0		0,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0			0,0		0,0

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7844,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	8343,4	6021,8	7844,9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები		38,5	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8343,4	5983,3	7844,9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3777,7	2807,6	3721,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3614,9	2629,5	3546,0



მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	162,8	161,7	175,0
<b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>	<b>4565,7</b>	<b>3192,1</b>	<b>4123,9</b>
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	2972,0	3175,7	4107,5
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	600,0	0,0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	993,7	0,0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები			
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი			
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0,0	16,4	16,4

### მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1515.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	
		2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>1282,5</b>	<b>1373,7</b>	<b>1515.2</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>529,5</b>	<b>460,0</b>	<b>490.0</b>
პროცენტები	108,6	31,1	60.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	420,9	428,9	430.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	418,7	424,4	420.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,0	4,5	10,0
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>231,6</b>	<b>308,6</b>	<b>317.7</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>225,9</b>	<b>301,7</b>	<b>312.7</b>
სანებართვო მოსაკრებელი	90,7	204,4	140.0
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2	0,0	2,4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	135,0	97,3	170.3



სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5,7	6,9	5,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5,7	6,9	5,0
<b>ჯარიმები, სანქციები და საურავები</b>	<b>512,2</b>	<b>589,3</b>	<b>657,5</b>
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>9,2</b>	<b>15,8</b>	<b>50,0</b>

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7750,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი				2018 წლის გეგმა		
	2016 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7386,9	7492,3	46,2	7308,2	7750,9	16,4	7734,5
შრომის ანაზღაურება	1601,9	1377,7	0,0	1377,7	1386,0	0,0	1386,0
საქონელი და მომსახურება	1612,1	1795,0	29,5	1765,5	1131,7	0,0	1131,7
პროცენტი	2,7	240,9	0,0	240,9	122,4	0,0	122,4
სუბსიდიები	3484,4	3318,0	0,0	3318,0	4545,5	0,0	4545,5
გრანტები	12,0	12,0	0,0	12,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	546,7	488,0	16,4	471,6	474,2	16,4	457,8
სხვა ხარჯები	127,0	260,7	0,3	260,4	91,1	0,0	91,1

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5396.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5496.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	88,8	33,5	31,4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება			8,0



03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5493,6	4478,6	5400,8
0400	განათლება	721,7	1218,7	25,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	20,0	108,1	31,6
<b>სულ ჯამი</b>		<b>6519,2</b>	<b>5838,9</b>	<b>5496,8</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	69,9	65,2	100,0
ძირითადი აქტივები	69,9	65,2	100,0
არაწარმოებული აქტივები	0,0	0,0	0,0
მიწა	0,0	0,0	0,0

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**  
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2203,3	2280,1	2211,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2203,3	2280,1	2211,4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2185,5	1954,9	2019,0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0,0	192,4
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0,0	0,0	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	17,8	0,0	0,0





702	თავდაცვა	82,2	85,7	105,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2920,8	1974,4	3356,8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	298,7	210,0	70,0
70421	სოფლის მეურნეობა	150,0	140,0	70,0
7045	ტრანსპორტი	2750,8	1834,4	3286,8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2730,8	1834,4	3286,8
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	20,0	0,0	0,0
705	გარემოს დაცვა	1574,7	679,2	1749,9
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	515,7	560,5	885,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1059,0	118,7	864,9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2127,6	3804,9	1695,5
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1086,9	671,1	252,1
7063	წყალმომარაგება	442,9	2153,7	575,8
7064	გარე განათება	456,7	384,6	824,8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	141,1	669,0	42,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	67,0	67,0	70,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	67,0	67,0	70,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2062,8	2058,1	1908,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1316,1	617,0	627,2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1352,0	1269,7	1255,3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	69,1	171,3	26,0
709	განათლება	2064,8	2585,3	1655,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2061,5	2585,3	1650,0
7092	ზოგადი განათლება	3,3	0,0	5,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	3,3	0,0	0,0





710	სოციალური დაცვა	582,0	516,8	495,6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	112,4	16,4	16,4
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	3,0	4,3	10,0
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	466,6	496,1	469,2
	სულ	13711,2	13331,2	13247,7

### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 287,6 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 400,0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 112,4 ათასი ლარის ოდენობით.

### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 70,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა მერის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 175,0 ათასი ლარი მიიმართოს:
  - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;
  - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.
2. წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

### მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 16

#### 1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა. შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მოზილიზება.



## **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

### **ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება; ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით: კასპის მუნიციპალიტეტში სოფელ სამთავისის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაცია; ქალაქ კასპში ეფრემ მეორის ქუჩის მოასფალტება-მოწყობა; ქალაქ კასპში თაყაიშვილის, ჭონქამის ქუჩის წრიული და თაყაიშვილის პირველი ჩიხის მოასფალტება; კასპის მუნიციპალიტეტში გამყოფი ხაზის სოფლების საკორინთლო-ახალშენას მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მოასფალტების I ეტაპი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ კასპში ავტომანქანების მოძრაობის სიჩქარის მზომი მოწყობილობების მონტაჟი.

### **ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები, მოეწყობა საკანალიზაციო ქსელი.

#### **ბ.ა) ა(ა)იპ – კასპის კეთილმოწყობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარი ული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აღნიშნული პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდა, ვინაიდან კასპთან ერთად პროგრამაში ჩართულია სოფ. მეტეხსა და სოფ. თელიანში არსებული დევნილთა ჩასახლებები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებიდან ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში – ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

ასევე დაფინანსდება: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და ბაღების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

#### **ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გასათვალისწინებელი თანხის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით: ქალაქ კასპში ქარწისის დასახლებაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა; ქალაქ კასპში ე.წ. ქეჩარუხის დასახლებაში ლესელიძის ქუჩაზე კანალიზაციის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია და გადამკვეთ ქუჩებზე (სამება, ქვათახევი,



მეტეხი) ქსელის მოწყობა.

### **ბ.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულება; განხორციელდება შპს „სოფლის წყლის“ სუბსიდირება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სადგურ მეტეხის დასახლების სასმელი წყლის სათავისა და ქსელის რეაბილიტაცია.

### **ბ.დ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია და ამხანაგობების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება.

### **ბ.ე) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 11)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც, ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული იქნება გარე განათებაზე დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულება.

კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

### **ბ.ვ) საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 12)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

### **გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, ასევე დაფინანსდება: ბაღების, სკვერების და მგზავრთა მოსაცდელის ექსპლოატაციის ხარჯები.

#### **გ.ა) ბაღების და სკვერების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 01)**

პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული იქნება 2017 წლის დეკემბრის თვის მეორე ნახევარში შპს „კასპის კეთილმოწყობის“ მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქ კასპში მოეწყობა ორი სკვერი.

#### **გ.ბ) მგზავრთა მოსაცდელის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპში მგზავრთა 5 (ხუთი) მოსაცდელის მოვლა-შენახვა.

#### **გ.გ) ფასადების აღდგენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კასპში შენობა-ნაგებობების დაზიანებული ფასადების აღდგენის სამუშაოები.

### **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსურ



მხარდაჭერას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებს ჰქონდეთ საფუძველი მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**ა) ა(ა)იპ – კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გახსნა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1300-ზე მეტი აღსაზრდელი. საბავშვო ბაღები მომარაგდება სათბობი შეშით.

**ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კასპის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა №3 საჯარო სკოლამდე.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

**ა.ა) სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „სპორტის დაწესებულებების გაერთიანების“ დაფინანსებას, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობის წრეები. 2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდობში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში დაგეგმილია სპორტის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მომზადებისათვის სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2018 წლის განმავლობაში დაახლოებით 230 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

**ა.ბ) კასპის სპორტკომპლექსის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „კასპის სპორტკომპლექსი“, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობის წრეები და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას. 2018 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. 2018 წლის განმავლობაში დაახლოებით 325 ახალგაზრდა გაივლის სპორტულ მომზადებას.

**ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

**ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)**



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობა. სხვადასხვა დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სახის კულტურული ღონისძიების მოწყობა:

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება;
- ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“;
- სახალხო დღესასწაული „კასპობა 2018“;
- კონცერტი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით;
- საახალწლო ღონისძიებების კვირეული.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული 20 (ოცი) სოფლის კლუბი და 5 (ხუთი) კულტურის სახლი, სადაც ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი და ქორეოგრაფიული წრეები.

### **ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული ხუთი მუსიკალური სკოლის ხელშეწყობა, სადაც სწავლობს 345-მდე ბავშვი. სასწავლო წლის განმავლობაში ერთ მოსწავლეზე გადასახადი შეადგენს 100 ლარს. ასევე დაგეგმილია ქალაქ კასპში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, სადაც სხვადასხვა წრეში გაერთიანებულია 132-მდე მოსწავლე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვადასხვა კონკურსისა და ფესტივალის ჩატარების უზრუნველყოფას.

### **ბ.გ) ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასევე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის სამუალებით, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

